# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 103 ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, 1918 წ. № 103



საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა



მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.



## სახელმწიფო თეატრი

**ოპერა.**

ხუთშაბათს, 28 ნოემბერს

ა. ი. ალიუშკოს, ა. მ. კანშინისა და ისეცკის მონაწილეობით

### ჟიდოვკა

ოპერა ოთხ მოქმედებად და 5 სურათად. ფასები საგრძნობლად დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე. პარასკევს, ნოემბრის 29 ა. ე. სპიტკოს, მ. ს. მარკოვას, იანევისა და ისეცკის მონაწილეობით „კარმენი“. შაბათს, 30 ნოემბერს საბანეევას, ორდას, ზალიპსკისა და ისეცკის მონაწილეობით „რიგოლეტო“. კვირას, დეკემბრის 1-ს დილით I „პაიაცები“, II „ქორწილი უკრაინაში“. საღამოს—ალეშკოს, ზალიპსკის, და პოლიაევის და ნიკოლსკის მონაწილეობით „დუბროვსკი“. ოთხშაბათს, დეკემბრის 4-ს იუბილეი ნიკოლსკისა მისი სცენაზე 10 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად 1. „მოცარტი და სალიერი“, 2. სევილიელი დალაქი“. 1065 1—1 ოპერის წარმომადგენელი ს. ევლახოვი.



## ცენტრალური სასურსათო საბჭო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 6 მომავალ ქრისტეშობისთვეს დღით 12 საათზე არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა საბჭოს დარბაზში მადატოვის ქ. № 3. სასურსათო საბჭოს საქონლის გადატან-გადმოტანაზე ქ. ტფილისში, მაგ.: ტფილისის სადგურიდან საწყობებში სომხების ბაზარი (Армянскій базаръ) მანთაშევის ბნელი საწყობები (Темные ряды Манташева) კახეთის რკინის გზის ნავთლუღის სადგურიდან იმ ადგილებამდე, სადაც საბჭოს აგენტები მიუთითებენ, საწყობიდან საწყობში და სადგურზე და საზოგადოდ როგორც საჭიროება მოითხოვს. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, უნდა წარუდგინოს ამის შესახებ განცხადება ცენტრალურ სასურსათო საბჭოს, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს 1) თავის გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) მისამართი, 3) გადატანის ფასი ფუთზე და 4) საშუალება რომლითაც ის აწარმოებს გადატან-გადმოტანის საქმეს. (ერთ ცხენიან თუ ორ ცხენიანი მარხილებით, ფურგუნებით, ავტომობილებით თუ სხვა) და რაოდენობა გადასატან-გადმოსატან საშუალებებისა. განცხადებები დაზღვეული და დახურული უნდა იყოს შემდეგი წარწერით სასურსათო საქონლის გადატან-გადმოტანის ვაჭრობაზე მონაწილეობის მისაღებათ. ამგვარი განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე ცენტრალურ სასურსათო საბჭოს სამმართველოში. უკანასკნელი ვადა განცხადებების წარმოდგენისა დანიშნულია 5 მომავალ ქრისტეშობისთვეს. ცნობების მიღება შეიძლება მიმწოდებელ განყოფილების უფროსთან.

1054 3—1 ცენტ. სასურსათო საბჭოს თავმჯდომარე ვ. არდიშვილი.



## ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებული სალიკვიდაციო განყოფილება

აცხადებს, რომ კავკასიის ფრონტის დაწესებულებათა ლიკვიდაციის დამთავრების გამო, ყველა იმ პირთ, რომლებსაც სალიკვიდაციო დახმარება ეკუთვნისთ, აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ტფილისის ხაზინაში, არა უგვიანეს ამა წლის 5 დეკემბრისა, ტალონები ხვედრი ფულის მისაღებად, ტალონები უნდა გატარებულ იქნეს ფინანსთა სამინისტროს სალიკვიდაციო განყოფილებაში, რათა რეგისტრაცია გაუკეთდეს ამ ტალონებს ტფილისის ხაზინაში. ვინც აღნიშნულ ვადაში ტალონებს არ წარმოადგენს, დაჰკარგავს უფლებას ხვედრი ფულის მიღებისას, ასიგნოვკები კი გაუქმდება. 1021 4—4



## ექიმი ი. კ. აბაკელია

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ჰლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.



დაიბეჭდა და იყიდება გიორგი მამრაძის წიგნი:

## საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება.

I **„ქართლის ბედის“ უკულმართობა და საქართველოს ტრაგიზმი.**

3—3. 1039. ფასი 3 მან. 50 კაპ.



მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

624. 18—11.


ოფიციალური განყოფილება

## სავალდებულო დადგენილება

**ქ. ტფილისის და მისი მიდამოების ღენერალ-გუბერნატორისა თანახმად გამოცემულ წესდებისა იმ ადგილზე, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები.**

აღეკრძალება ცხოვრება ჩემდამი რწმუნებულ საღენერალ-გუბერნატოროში იმ პირთ, რომლებსაც არა აქვთ რაიმე განსაზღვრული სამუშაო და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად არ ითვლებიან.

აღნიშნული პირნი ვალდებულნი არიან ერთი კვირის განმავლობაში დასტოვონ საღენერალ-გუბერნატორო, წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრატიულ წესით იქნებიან გაგზავნილნი ხსენებულ საღენერალ-გუბერნატოროდან.

მუშები, რომელთაც ამ ჟამად არა აქვთ სამუშაო ვალდებული არიან ჩაეწერონ თავიანთ პროფესიონალურ კავშირებში, ან ქალაქის შრომის ბირჟაში.

იმ მუშებს, რომლებიც ჩაუწერელი არიან, ჩასაწერად ეძლევათ ორი კვირის ვადა, რის შემდეგ თუ არ ჩაეწერებიან, გადასახლებულნი იქნებიან საერთო წესით.

ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდვისა.

ქ. ტფილისისა და მისი მიდამოების

**ღენერალ-ღუბერნატორი**

**ღენერალ-მაიორი მაზნეშვილი.**

## განკარგულებანი

**ქ. ტფილისის და მის მიდამოების ღენერალ-გუბერნატორის.**

15 ნოემბერი, 1918 წ.

№ 2.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ე ნ: ჩემ განკარგულებაში მყოფი: გაბრიელ ივანის ძე თულაშვილი—ჩემი კანცელარიის მმართველად და გვარდიის პორუჩიკი ზაალი პლატონის ძე მიქელაძე მის თანაშემწეთ; მელქიდესეკ აპალონის ძე მიქელაძე—საქმის მწარმოებლად, ილია სოფრონის ძე ინალიშვილი—რეგისტრატორად (იგივე—ეგზეკუტორად); ბესარიონ გრიგორის ძე იქაძე კანცელარიის მოხელედ; ლიუსა მიხეილის ასული თუხარელი და თამარა კონსტანტინეს ასული ამირეჯიბი—იმავე კანცელარიის მანქანაზედ მომუშავედ, ყველა ამა წლის 9 ნოემბრიდან.

მ ი წ ე რ ი ლ  ი ქ მ ნ ე ნ: მეორე ქვეითა დივიზიის შტაბის უფროსი გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ჯიჯიხია ღენერალ-გუბერნატორის შტაბის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად, არმიის ცხენოსანთა ჯარში მირიცხული პოდპოლკოვნიკი ქოჩაქიძე და გენერალური შტაბის ოპერაციულ განყოფილების უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი მაყაშვილი—შტაბ-ოფიცრებათ ჩემი მინდობილებათა აღსასრულებლად, სამივე ამა წლის 9 ნოემბრიდან.

მეორე ქვეითა დივიზიის შტაბთან არსებულ ცალკე ესკადრონის უფროსი პორუჩიკი მამულაშვილი და დასახელებულ ესკადრონის უფროსი ოფიცრები-პორუჩიკები: ყარანგოზიშვილი და ბაგრატიონ-მუხრანსკი—ობერ—ოფიცრებათ ჩემ დავალებათა აღსასრულებლად და კორნეტი რიჩკოვი ჩემდამი რწმუნებულ საღენერალ-გუბერნატოროს შტაბის ადიუტანტად, ოთხივე ამა წლის 9 ნოემბრიდან.

ღენერალ-ღუბერნატორი

ღენერალ-მაიორი მ ა ზ ნ ე შ ვ ი ლ ი.

**საქართველოს რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სამინისტროსი.**

18 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 96.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: პეტროგრადის აგრონომიულ ინსტიტუტის მე-4-ხე კურსის სტუდენტი ნ. ხ. უგრელიძე, მარტყოფ-იორის სატყეო მართველობის გამგის მეორე ხარისხის თანაშემწეთ, 15 ოქტომბრიდან 1918 წ.

23 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 97.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა  თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი დ ა ნ შორაპნის რაიონის ყოფილ კერძო სამფლობელო ტყეების მიმღებ კომისიის ტეხნიკოსი მ. ვ. ჩილოვსკი, თანახმათ თავის თხოვნისა, 1918 წლის 1 ოქტომბრიდან.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: დელიჟანის სატყეო მართველობის გამგის თანაშემწე ი. ვ. პონამაროვი, ხსენებულ კომისიის ტეხნიკოსათ, 1918 წლის 23 ოქტომბრიდან.

23 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 98.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა  თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი დ ა ნ: აჯამეთის და ვარციხის სატყეო აგარაკებში შეშის და ხე-ტყის მასალების დასამზადებლათ სამუშაოთა მეთვალყურე მ. გ. ზაალიშვილი, სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, 1918 წ 2 სექტემბრიდან.

25 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 99.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: სახაზინო მიწების და ტყეების მომწყობ სამუშაოთა ყოფილი უფროსი მწარმოებელი ა. გ. ჰილაშვილი—მინისტრის კანცელარიის საინსპექტორო განყოფილების გამგის თანამდებობის აღმასრულებლათ, 1918 წლის 1 ნოემბრიდან.

26 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 100.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ნ ი  ა რ ი ა ნ  თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი დ ა ნ: 1. მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწე კ. პეტრაჩენკო, დასვენების შემდეგ სამსახურში ვადაზე გამოუცხადებლობის გამო, 1918 წლის 7 სექტემბრიდან.

2. მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწე ნ. ა. ივანიცკი, სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, 1918 წლის 1 ოქტომბრიდან.

28 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 101.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა  თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი დ ა ნ და სრულიად სამსახურიდან ახალციხის სატყეო მართველობის გამგის თანაშემწე პ. კ. ბორისოვსკი, მის თხოვნის თანახმათ, 1918 წ. 10 აგვისტოდან.

28 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 102.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: 1. ცენტრალურ სადგილ-მამულო გამგეობის სატყეო განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე ვ. ი. ფედოროვი—იმავე განყოფილების საქმის მწარმოებლათ, 1918 წლის 1 ნოემბრიდან.

2. ხარკოვის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული შ. ნ. მატატაშვილი—მეორე ხარისხის ტყის თანაშემწეთ ცენტრალურ სადგილ-მამულო გამგეობის განკარგულებაში.

28 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 103.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: 1. ბორჯომის მამულის ტყის გამგე მ. ი. მურვანოვი—სურამის რაიონში ყოფილ კერძო მფლობელობის ტყეების მიმღებ კომისიის თავმჯდომარეთ.

2. მიწის მზომელი შერსტიუკოვი ამავე კომისიის ტეხნიკოსათ, ორივე 1918 წლის 30 ოქტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 104.

დანიშნულ იქმნა: პეტროგრადის აგრონომიულ ინსტიტუტის მე-4 ხე კურსის სტუდენტი გ. დ. კიზელი—მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწეთ ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობის განკარგულებაში.

6 ნოემბერი, 1918 წ.

№ 105.

დათხოვნილია თანამდებობიდან: აჯამეთის და ვარციხეს სატყეო ავარაკებში შეშის და ტყის დამზადების გამგე ვ. ა. განენკოვი, სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, ამ წლის 2 სექტემბრიდან.

15 ნოემბერი, 1918 წ.

№ 106.

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან: მიწათ-მოქმედების მინისტრის სათათბიროს წევრი თ. ა. შიმანოვსკი, თხოვნის თანახმათ, ამ წლის 10 ნოემბრიდან, სალიკვიდაციო ფულის მიუცემლათ.

მეორე ხარისხის მიწისმზომელი შ. ა. დურიანცი, დასვენების შემდეგ სამსახურში ვადაზე გამოუცხადებლობის გამო, ამ წლის 1 ივლისიდან, სალიკვიდაციო ფულის მიუცემლად.

მიწისმზომლის თანაშემწე პ. ი. პუგაჩი, თხოვნის თანახმათ, სალიკვიდაციო ფულის მიუცემლათ.

რწმუნებული საექიმო მცენარეთა შეგროვების, დამზადების და კულტურის ორგანიზაციისა კავკასიაში, იური კუშკე, თხოვნის თანახმათ, ამ წლის 1 ნოემბრიდან. ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორიის ასისტენტი ი. ე. დორმანი, თანახმათ თხოვნისა, ამ წლის 1 ნოემბრიდან.

დათხოვნილი არიან თანამდებობიდან, შტატ გარეშე დატოვებით საერთო წესით: ტფილისის სასამართლო პალატის ყოფილ საგანგებო სამიჯნაო განყოფილების სახაზავ ნაწილის უფროსი ლ. ს. ლინევსკი; საქმის მწარმოებლის თანაშემწენი იმავე განყოფილების: ს. ი. ფილიჟენკო, ნ. ა. კაპიტონოვი და კ. ი. ნიჩეპეროვიჩი. უფროსი მიწისმზომელნი: ს. ზ. ზაალიშვილი, ს. კ. კლეცკი, ი. ძ. სარქისოვი, ა. ა. ბაგბეუკ-მელიქოვი; მიწის მზომელნი პირველი ხარისხისა—ა. ი. მირაქოვი, ს. ი. კლიმიაშვილი და ზ. ი. გეურქოვი. მეორე ხარისხის მიწის მზომელნი—ნ. გ. ერმოშკინი, ი. ა. მარტიროსიანცი, ვ. ე. ვავილკოვი და ნ. ს. შიპილოვი. მიწისმზომელის თანაშემწენი—ნ. ა. გიორგიევი და ს. გ. ოსიპოვი. კანცელარიის მოხელენი: ბ. მ. საიათნოვი, ა. დ. სმირნოვი, პ. დ. რაენკო. კანცელარიის მსახურნი: ე. ი. საველიევისა, ნ. ს. სლივიცკისა, ვ. ი. ქუთათელაძე, კ. რ. შუბლაძე, ლ. ა. ბენკევიჩი, ა. გ. ლეონტიევი, გ. ა. სვანაძე. დროებით დაქირავებული მსახურნი: გ. მ. პაციორე, ა. პ. შაპოვალოვი. დარაჯნი: ფ. ნ. ბაკუნოვიჩი, ი. ა. კარპუნენკო და ნ. დ. კუდინოვი, ამ წლის 15 ნოემბრიდან.

დათხოვნილი არიან სალიკვიდაციო ფულის მიუცემლად: მეორე ხარისხის მიწისმზომელი კ. ზ. ავდიშევი, მიწისმზომელის თანაშემწენი: ვ. ა. ლისიცინი, პ. ა. ვანიუშევი, ლ. ა. ყუბანიევი, მ. ბ. ყარემუზიანცი, გ. ი. ხუციანცი, ამ წლის 15 ივნისიდან, და კ. გ. წვერიანოვი, ამ წლის 1 ნოემბრიდან, დემობილიზაციის შემდეგ სამხედრო სამსახურიდან გამოუცხადებლობის გამო.

დანიშნულ იქმნენ: საექიმო მცენარეთა შეგროვების, დამზადების და კულტურის ორგანიზაციის რწმუნებულის მოვალეობათა აღმასრულებლათ ტფილისის ბოტანიკურ ბაღის უფროსი ბოტანიკოსი დ. ი. სოსნოვსკი, ამ წლის 1 ნოემბრიდან.

ჩაირიცხა: ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორიის სანიადაგო განყოფილების ლაბორანტის თანამდებობაზე ლ. ი. ჭეიშვილი, ამ წლის 1 ნოემბრიდან, მის თანამდებობისთვის დაწესებულ ჯამაგირის მიცემით.

მიწათ-მოქმედების მინისტრი ხომერიკი.

**საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა**

23 ნოემბერი, 1918 წ.

№ 336.

„კავკასიის ვაჭრობა-მრეწველობის და საკომისიო ამხანაგობის", რომლის წესდება დამტკიცებულია ამიერ კავკასიის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ 1918 წ. მაისის 27-ს თანახმად ამხანაგობის დამაარსებელთა შუამდგომლობისა, ნება დართულია წინაღმდეგ წესდების მე-7 პარაგრაფისა, ამხანაგობამ დაიწყოს მოქმედება შეგროვებულ ძირითად თანხით 180,000 მ., წარუდგინოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს მოწმობები საკრედიტო დაწესებულებებისა ამ ფულის ამხანაგობის ძირითად თანხაში შეტანისა, ისე, რომ მე-7 §-ში აღნიშნული ძირითადი თანხის დანარჩენი ნაწილი უნდა შეგროვდეს არა უგვიანეს 6 თვისა ამ განკარგულების მიღებიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. ჟ უ რ უ ლ ი.

**საქართველოს რესპუბლიკის გზათა მინისტრისა.**

16 ნოემბერი, 1918 წ.

№ 50.

შტატ გარეშე რჩებიან: სალიკვიდაციო განყოფილების არხივის უფროსი ევგენი კონსტანტინეს ძე როძევიჩი და საქმის მწარმოებელი იმავე განყოფილებისა ონუფრი პავლეს ძე ბარკოვსკი 15 ამა ნოემბრიდან.

ერთდროული დახმარება მიეცეთ 5 ივნისის კანონით.

გზათა მინისტრი ლორთქიფანიძე.

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში.

**ბაჟის მოხსნა.**

აჭარისა და ოზურგეთის მაზრების საზღვრებზე მოიხსნას ბაჟები ყოველგვარ ნაწარმოებებზე. ბაჟი დარჩეს მხოლოდ რკინის გზით გასატან შემოსატან საქონელზე.

**კრედიტი.**

გაეხსნას ფოსტა ტელეფონის სამმართველოს ათ მილიონიან ფონდიდან 2,000000 მანეთის კრედიტი ხარჯთ აღრიცხვის ანგარიშში მისი დაწესებულებათა 1918 წ. განმავლობაში შესანახათ იმ პირობით, რომ კრედიტი იხარჯებოდეს სათანადო დაწესებულ ვადებში.

**შტატების გადასინჯვა.**

მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს გადასინჯოს საფინანსო და სატელეგრაფო უწყებების შტატები და შეუფარდოს რესპუბლიკის ნამდვილ მოთხოვნილებას და მის ბიუჯეტის საერთო მდგომარეობას.

**ახალი კრედიტის მოთხოვნა.**

მიენდოს ფინანსთა მინისტრს წარმოუდგინოს მთავრობას შემდეგ სხდომისათვის მოხსენება კანონ-პროექტი პარლამენტისაგან ათ მილიონიან ფონდისთვის ახალი კრედიტის გამოთხოვის შესახებ.

**ნავთისთვის.**

მიეცეს ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარეს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბაქოში გზათა სამინისტროს კრედიტების ანგარიშში 1500000 მანეთი ავანსათ ნავთის გამოგზავნის საქმისათვის.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

**თელავის მაზრაში.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშები მიიღო თელავის გენერალ-გუბერნატორ ბ-ნ მაღლაკელიძისაგან: „გუშინ 25 ნოემბერს ყაჩაღი, რომელიც ფარულათ აპირებდა შემოპარვას შტაბის ბინაზე, შევიპყარით. თანახმათ ჩემი სავალდებულო დადგენილებისა ქალაქის მცხოვრებნი ვალდებულ იყვნენ იარაღი ჩაებარებინათ 25 ნოემბერს დღის 12 საათამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ შეუდექ ჩხრეკას ქალაქში. სულ ჩამოვართვი ჯერ-ჯერობით 400 თოფი და 50 რევოლვერი პატრონებით და ყუმბარები.

„ამ დღეებში თელავიდან გაქცეული ყაჩაღი „ეშმაკის" სახელით სიღნაღის მაზრაში შევიპყრეთ 26 ნოემბერს.

„26 ნოემბერს საღამოთი ორ ყაჩაღს თელავის სადგურზე ვგზავნიდით ტფილისში გამოსასტუმრებლათ. გზაში ქალაქის ბაღთან ასტყდა პროვოკაციული სროლა საიდანღაც. ყაჩაღები აპირებდენ გაქცევას, მაგრამ მოკლულ იქმნენ.

„24 ნოემბერს ალყა შემოვარტყი სოფელ ვარდისუბანს. შევიპყარით 4 ყაჩაღი. მცხოვრებთ იარაღი აჰყარეთ".

ოსების ეროვნულმა საბჭომ განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა საქართველოს მთავრობამ თავისი ხარჯით ცხინვალში გახსნას ოსური გიმნაზია, სადაც სწავლა ოსურსა და რუსულ ენაზე იქნება, ხოლო ქართულ ენის გაკვეთილებს საპატიო ადგილი დაეთმობა. მინისტრმა შემდეგი რეზოლუცია წააწერა: ცხინვალში მთავრობის ხარჯით გაიხსნას გიმნაზია იმ შემთხვევაში, თუ სწავლება მხოლოდ ოსურ ენაზე იქნება, ხოლო თუ ოსები ამას არ დასთანხმდებიან, მაშინ თავიანთ ხარჯით გახსნან აღნიშნული გიმნაზია.

ყოველ შემთხვევაში მინისტრს საჭიროდ მიაჩნია ეს საკითხი გაისისთვის გადაიდოს ვინაიდან ცხინვალში მთავრობას გადაწყვეტილი აქვს პროგიმნაზიის გახსნა.

# გზათა სამინისტროში.

**ჯამაგირების მომატება.**

გზათა სამინისტრომ აცნობა სახაზინო გზათა უფროსს თანახმათ მისი მომართვისა, რომ ვინაიდან სიძვირით გამოწვეული მომატებული ჯამაგირები არ ითვლება მუდმივ ჯამაგირათ ერთდროულ დახმარების მიცემის დროზე არ უნდა იქმნას მიღებული ანგარიშში და ასეთი დახმარება უნდა მიეცეთ მოსამსახურეთ ძველი ჯამაგირების რაოდენობით, რაც შეეხება დღიურ მომუშავეთ იმათ სიძვირით გამოწვეული მომატება სულ არ ეკუთვნით, რადგანაც მათი დღიური სამუშაო ფასი განსაზღვრულია.

**საბარგო ვაგონები.**

მოძრაობის უფროსივე მაჭავარიანი დეპეშით იტყობინება, რომ სათბობ მასალის უქონლობის გამო საბარგო მატარებლების სვლა კახეთის რკინის გზაზე აღკრძალულია.

**ოსმალთა ქონება**

გზათა სამინისტრო აცნობეს დეპეშით, რომ სამხედრო მინისტრის განკარგულებით არ უნდა იქნეს შეფერხებული სადგ. ნავთლუღიდან ოსმალთა ქონების გაზიდვა ყარსში 70 ვაგონით. ეს ვაგონები სადგ. შაგალაზე უნდა იქნეს გადაცლილი ანდა გაშვებული უსათუოდ იმ პირობით, რომ მათ სანაცვლო ვაგონები შაგალაში გამოერთვათ ამავე რიცხვისა, რომლებსაც ოსმალთა რწმუნებულნი ჰპირდებიან ყარაკლისიდან დეპოში, როგორც კი ჩაიტანენ თავის ქონებას.

# ლტოლვილთა დაბრუნება

ჯავახეთითან და მცხეთიდან გადმოსახლებულთ ვატყობინებ, რომ დღეის იქით იმათ შეუძლიანთ დაბრუნდ მ თავიანთ სოფლებში.

გენერ. ნ ა ყ ა შ ვ ი ლ ი.

# საქართველოს პარლამენტში

(26 ნოემბრის სხდომა)

თავმჯდომარეობს ნ. ს. ჩ ხ ე ი ძ ე. მდივანი დ. ონიაშვილი.

კრება იხსნება დღის 12 ს. მდივანი კითხულობს დღიურ წესრიგს რის შემდეგ პარლამენტი გადადის მორიგ საკითხების განხილვაზე. პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა წარსულ სხდომაზე მიღებულ სამღვთო სჯულის სწავლების მოსპობის კანონის საბოლოო ტექსტი და ხარჯის ამკრებ ინსტიტუტის შესახებ.

კანონპროექტმა მადნეულ წყლების და აბანოების ჩამორთმევის შესახებ გამოიწვია დიდი კამათი.

მომხსენებელი დ. ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი (ს. დ.) ამბობს, რომ საერთოთ სამკურნალო წყლებს დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ცხოვრებაში. ევროპაში ასეთი წყლები დიდათ მოვლილი და გაუმჯობესებულია, მაგრამ ჩვენში, მიუხედავათ იმისა, რომ ეს წყლები პირველ ხარისხოვანია—ისინი პირველ ყოფილ მდგომარეობაში იმყოფებიან. აქ წარმოდგენილი კანონ-პროექტის მიხედვით—ეს წყლები უნდა გადაეცეს სახელმწიფოს და მეპატრონეებს მიეცეთ შესაფერი თანხა.

ლ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა (ს. რ.) აცხადებს, რომ მათი ფრაქციისთვის ეს პროექტი მისაღებია იმდენათ, რამდენადაც ეს ეხება ბურჟუაზიულ საკუთრების ჩამორთმევას. მაგრამ მიუღებელია ის პრინციპი, რომელითაც აქ სურთ ამ კანონპროექტის გაყვანა, არავითარი მოსაზრებით გამოყიდვის პრინციპი არ შეიძლება გამართლებულ იქნეს; ეს ქონება უნდა გადაეცეს ხალხს, რადგან ხალხია ყოველივე სიმდიდრის ბატონ-პატრონი და მილიონების მიცემა იმაში, რაიცა ისედაც ხალხს ეკუთვნის შეუწყნარებელი და მიუღებელია.

თ. ღ ლ ო ნ ტ ი (ს.ფ.) სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით ღლონტი აცხადებს, რომ ის წინააღმდეგია გამოყიდვის პრინციპის, რომ სახელმწიფოს არა აქვს იმდენი თანხა, რომ 4-5 მილიონი მისცეს მადნეულ, სამკურნალო წყლების პატრონებს. ღლონტი ეკამათება ს. დ-ებს და ამბობს, რომ მადნები ჩამორთმეულ უნდა იქნეს უსასყიდლოთ, თუ ხალხისთვის სურთ კეთილდღეობა და ფიზიკური ჯანმრთელობა.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი (ნ.დ.) წინააღმდეგია კერძო საკუთრების ჩამორთმევის. ის უკმაყოფილებას აცხადებს იმის შესახებ, რომ მემამულეებს ჩამოართვეს მიწები სოფლათ. ეხლა ასეთსავე საქმეს მთავრობა სჩადის ქალაქებში და ართმევს კერძო პირებს სამკურნალო წყლებს.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. (ს.-დ.) უპასუხებს წარსულ ორატორებს, და აცხადებს, რომ სოც.-დემოკრ. ფრაქციას მარჯვნიდან ეკვეთენ ნაც. დემოკრატები და იმაში ამტყუნებენ, რომ რათ ართმევთ მიწებს მესაკუთრეებსო, მარცხნიდან ესერები და ფედერალისტები იმას გვიკიჟინებენ, რომ მიწა უნდა ჩამოერთვათ და აბანოების მეპატრონეებს არაფერი არ მისცეთო. ზოგმა პრინციპი დაგვიწუნა, ზოგმა მარქსიზმი და საქმის ვითარებას არ შეეხენო. არსენიძე განმარტავს დღევანდელ მდგომარეობას, ეხება მიწის ჩამორთმევის საკითხს, ფეოდალური აზნაურების დრომოჭმულობას და ცხოვრების მიერ მათ უარყოფას, გადადის სამკურნალო წყლების საკითხზე და ხაზს უსვამს ამ საკითხის და მემამულეთაგან მიწის ჩამორთმევის საკითხის შორის განსხვავებას და ერთად ერთ მისაღებ წინადადებათ მიაჩნია კომისიის აზრი, სამკურნალო წყლების გამოყიდვის შესახებ.

დ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი. (ნ.-დ.) მომხრეა იმისა, რომ კერძო პირებს მიეცეთ სასყიდელი ჩამორთმეულ სამკურნალო წყლებში. ის აცხადებს, რომ ეს კანონი, როგორც მიწის კანონის გაგრძელება მავნებელია სახელმწიფოსი და მხოლოთ ანარქიას შეიტანს ცხოვრებაში როგორც ეს ჰქნა მიწის დეკრეტმაო.

მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხ ო მ ე რ ი კ ი განმარტებას უკეთებს შემოტანილ კანონპროექტს და კვალდაკვალ ეხება ორატორების სიტყვებსაც. ის ამბობს, რომ ეს კანონპროექტი გაგრძელება და განმარტებაა იმ პროექტებისა, რომელიც აქ მიღებულ იყო და მალე შემოტანილ იქნება განსახილველათ. მინისტრი იცავს კომისიის მოსაზრებას და წარმოდგენილი კანონ-პროექტის აზრი ერთად ერთ მისაღებ წინადადებათ მიაჩნია.

ონიაშვილის უკანასკნელ სიტყვის შემდეგ, კრება შეუდგა კანონ-პროექტის მუხლობრივ გარჩევას. კამათში მუხლების შესახებ მონაწილეობა მიიღეს ი. ნუცუბიძემ (ს.-რ.), ს. დადიანმა (ს.-ფ.), ი. აბაკელიამ (ს.-რ.), რ. არსენიძემ (ს.-დ.), ონიაშვილმა (ს.-დ.), მინისტრმა ნ. ხომერიკმა, რ. გაბაშვილმა და სხვ.

დასასრულ კანონ-პროექტი მიღებულ იქნა მცირედი შესწორებებით.

# კანონ-პროექტი

**მიწათმოქმედების სამინისტროს კანონ-პროექტი ჩამორთმეულ მიწების გაყიდვის შესახებ.**

§ 1.

მიწები სახელმწიფო ფონდიდან გადაცემულ იქნება კერძო საკუთრებათ სოფლელთათვის იმ წესით, რომელიც აღნიშნულია ამ კანონის მეორე მუხლში.

§ 2.

ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არ განაწილდება იმის მეტი მიწა, რაც აღნიშნულია ამიერ-კავკასიის კომისარიატის 16 დეკემბრის 1917 წლის დეკრეტის მეხუთე მუხლში და ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 2 მაისის კანონში და არც ის მიწები, რომლებიც დანიშნულია მინისტრის განკარგულებით გადასახლებისა და დასახლებისათვის.

§ 3.

მიწები ეძლევათ საკუთრებათ უმამულო და მცირე-მამულიან სოფლელთ, რომელთა უმთავრეს საარსებო წყაროს სოფლის სამეურნეო შრომა შეადგენს.

შენიშვნა: 1917 წლის 1 მარტიდან დაარსებულ ქალაქების მცხოვრებთ, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემო-აღნიშნულ მესამე მუხლის მოთხოვნილებებს, არ ეკრძალებათ „ნადელის" საკუთრათ მიღება.

§ 4.

თუ რამდენიმე პირი, რომელთაგან თითოეულს უფლება აქვს ცალკე „ნადელის" მიღებისა, წერილობით განაცხადებს სურვილს მათ მიერ კუთვნილ მიწების საერთო საკუთრებათ გადაცემისას, ასეთი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნას.

§ 5.

თუ სოფლის საზოგადოება ან ცალკე სოფელი, რომლის მცხოვრებთა შორის განსაზღვრული რაოდენობა მიწისა უნდა დანაწილებულ იქნას, დაადგენს ყველა სრულ-წლოვანთა ორი მესამედი ხმის უმეტესობით განაჩენს, რომ ეს მიწა მას საზოგადო საკუთრებათ გადაეცეს, ასეთი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნას. მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ეს საზოგადოება ან სოფელი წარუდგენს სამაზრო საერობო გამგეობას, ხოლო სადაც ეს არ არის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობას თავის დადგენილებას, მიწის ამნაირი წესით გადაცემისას.

§ 6.

საბალახო მიწები საერთო საკუთრებათ გადაეცემა სოფლის საზოგადოებებს ან და სოფლებს.

§ 7.

სოფლის მცხოვრებთ მიწები კომლობით გადაეცემა ისეთი ზომით, რომ მიცემული მიწა კომლის წინანდელ უძრავ ქონებასთან ერთად, არ აღემატებოდეს იმ ნორმებს, რომლებიც აღნიშნულია კერძო მესაკუთრეთათვის მიწების ჩამორთმევის დროს ამიერ-კავკასიის სეი-

მის 1918 წლის 7 მარტის კანონის მეორე მუხლში. ამ ფარგლებში მიწების გადაცემა წარმოებს იმ წესის მიხედვით, რომ მიწა გადაეცეს უმთავრესად იმ კომლს, რომელიც თავიდანვე თავის შრომას მას ახმარდა და ყოველს ოჯახს შეძლება ჰქონდეს თავისი წილით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა.

§ 8.

აგრარულ რეფორმის ამ კანონის ძალით გატარება ევალება სამიწათმოქმედო სამინისტროს, რომლის ადგილობრივ ორგანოებათ ამ შემთხვევაში ირიცხება:

ა) სამაზრო საერობო გამგეობანი, რომლებთანაც გადადის უფლება და მოვალეობა სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობებისა, ბ) სამაზრო ერობები, სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობანი იმ მაზრებში, სადაც საერობო თვითმართველობები ჯერ კიდევ არ არის და გ) სარაიონო კომისიები.

§ 9.

სამიწათმოქმედო მინისტრის განკარგულებით, თითოეული მაზრა იყოფა აგრარულ რაიონებათ. თითოულ რაიონში არსდება სარაიონო კომისია 3—5 პირისაგან შემდგარი, ამორჩეული სარაიონო თათბირის მიერ. სარაიონო თათბირი, რომელიც შესდგება ამ რაიონის საერობო ხმოსნებისაგან და სოფლების მიერ არჩეულ წარმომადგენელთაგან (ორორი კაცი თითო სოფლისაგან) იკრიბება საერობო გამგეობის მოწვევით, რომლის ერთი წევრი კრებას თავმჯდომარეობს. იმ მაზრებში, სადაც საერობო ხმოსნები არჩეული არ არის, სარაიონო თათბირი დგება ზემო აღნიშნულ სოფელთა წარმომადგენლებისაგან და საადგილ-მამულო გამგეობის წარმომადგენელთაგან საერობო ხმოსანთა რაოდენობის რიცხვით მიღებულს ამ რაიონისათვის. ასეთ მაზრებში სარაიონო თათბირები იმართება სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობის მიერ, რომლის წევრი თავმჯდომარეობს ამ კრებას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თითოეულ სარაიონო კომისიაში არის მდივანი და მიწის მზომელი მიწათმოქმედების მინისტრის მიერ დანიშნულ განსაზღვრულის ჯამაგირით.

§ 10.

საქართველოს მიწის ფონდი, რომელიც უნდა ადგილობრივ მცხოვრებთ გადაეცეს მაზრებს, ხოლო თითოეულ მაზრაში კი თითეულ რაიონს სამიწათმოქმედო მინისტრი უნაწილებს. რაიონისათვის განსაზღვრული მიწის ფონდი სარაიონო კომისიის მიერ უნაწილდება სოფლის საზოგადოებებს, სოფლებს და იმ პირთ, რომელთაც მიწა უნდა გადაეცეს.

(დასასრული იქნება).

# ლტოლვილთა საკითხი.

**ლტოლვილთა გაჭირვება.**

შინაგან საქმეთა მინისტრის რწმუნებულმა ლტოლვილთა საქმეებზე აცნობა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომ ქართველი ლტოლვილნი ახალქალაქის მაზრისა, რომელნიც ამჟამათ წალკის რაიონში ცხოვრობენ სახელდობრ რეხას, ხანდოს და აროვაში უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი, როგორც სურსათის ისე ტანთსაცმლის უქონლობის გამო. სამინისტრო საჭიროთ სთვლის, რომ საქვ. საზოგადოებამ აღმოუჩინოს მათ სწრაფი დახმარება. ამჟამათ ამ სოფლებში სამინისტროს რწმუნებულის ცნობით 1200 სულზე მეტია.

**ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ.**

შინაგა საქმეთა სამინისტროს რწმუნებულმა ლტოლვილთა საქმეებზე ა. ს. ლორთქიფანიძემ შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას: „შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მიღებულ ცნობების თანახმათ ოსმალებმა ახალქალაქის მაზრის ლტოლვილნი გაატარეს. გაცნობებთ თქვენდა საყურადღებოთ, რომ ჩემ მიერ უკვე მიღებულია სწრაფი ზომები ლტოლვილთა დასაბრუნებლათ თავიანთ კერაში. ამ საქმის მოსაგვარებლათ ჩემ მიერი გაგზავნილ იქმნა ოფიცერი სკარჟევსკი, რომელიც შესაფერ მოწმობებს დაურიგებს ლტოლვილით მათ კომიტეტების კუშჩისა და რეხის ჩვენებით. ჩემ მიერ მიღებულ ცნობებით კუშჩის კომიტეტი (სომხის) უკვე შეუდგა მუშაობას ხოლო რეხის (ქართულ) კომიტეტს, არავითარი ნაბიჯი არ გადუდგამს ამ მხრივ რის გამო ლტოლვილთა ინტერესების დასაცავათ საჭიროა თქვენი განკარგულების მოხდენა, რომ გაგზავნილ იქმნეს თქვენი რწმუნებულნ ამ საკითხის მოსაგვარებლათ. თუ ლტოლვილთა შორის აღმოჩნდება ისეთი ოჯახი ან პირი, რომელთაც არ ძალუძთ დაბრუნება და უბინაოთ დარჩენა მოელით, მაშინ მთავრობის თავმჯდომარის განკარგულების ძალით ისინი უნდა გაისტუმროთ მანგლისსა და ან აღბულაღში.

**ლტოლვილთა გადაზიდვა.**

მოძრაობის უფროსი მაჭავარიანი დეპეშით ატყობინებს გზათა სამინისტროს, რომ ვინაიდან სათბობი მასალა სრულიათ არ არის, საგარეჯოდან ლტოლვილთა გადაყვანა მოუხერხებელია.

# საექიმო-სასანიტარო საქმე

**სახადი.**

24—26 ნოემბერში ტფილისში ხოლერით არავინ ავათ არ გამხდარა ამ დღეების განმავლობაში ქალაქის ქსენოსში მარტო ერთი საეჭვო ავათმყოფი მიუყვანიათ. მომკვდარა ოთხი საეჭვო გუშინ ქსენოში იმყოფებოდა 4 ხოლერით ავათმყოფი და საეჭვო.

ამავე დროს ქალაქში სახადით ავათმყოფობა ვრცელდება და უკანასკნელ დღეს ქსენოში მიიყვანეს 12 სახადიანი. იმავე დღეს მომკვდარა 2 სახადიანი. გუშინ ქალაქის ქსენოში 116 სახადიანი იწვა. ამათ გარდა ქალაქის საექიმო სასანიტარო ბიუროს ცნობებისამებრ მრავალი სახადიანი თავის საკუთარ ბინაში არის დარჩენილი და მათ ექიმები შინა სწამლობს.

# გერმანული პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

**დემონსტრაციები და მოწოდება**

ცნობაა, რომ გერმანიის სხვა და სხვა ადგილას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დემონსტრაციები გაიმართა. საბჭოთა დიდი უმრავლესობა მოითხოვს, რაც შეიძლება მალე იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება და რომ მთავრობა არ უნდა დაემორჩილოს ერთი ჯგუფის დიქტატურას, ან რომელიმე ქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს· კენისბერგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო ბოლშევიზმის წინააღმდეგ მოუწოდებს მცხოვრებთ. მოწოდება მიმართავს მუშებს და ჯარისკაცთ და ამბობს: „ძალა კი არ უნდა იყვეს ჩვენი მართველი, მით უმეტეს პოლიტიკურ უმცირესობის ძალა, არამედ უფლება. თქვენი საღვთო მოვალეობაა განახორციელოთ ეს უფლება. ნუ დაუშვებთ მას, რომ პოლიტიკურ თხუნელებს შეძლება მიეცეს გამოთხაროს ნიადაგი, რომელსაც ეყრდნობა თქვენი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ამ ხალხს ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ანარქისტები და ბოლშევიკები, თუ ვინ არიან ბოლშევიკები თქვენ შეგიძლიანთ ნათლად დაინახოთ თუ გადახედავთ რუსეთის უბედურ ძმებს. დაგვეხმარეთ ნიღაბი ავხადოთ ამ მატყუარებს და უძლურვყოთ ისინი“.

**ბადენის საგერცოგოში.**

დასავლეთის ფრონტზე მეოთხე არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ თავის კატეგორიულ რეზოლიუციაში იმ გვარივე აზრი გამოსთქვა, რაც ბადენის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, რომელმაც თავის წრიდან გამჰყო და შეადგინა ბადენის საგერცოგოს პარლამენტი იმის შემდეგ, რაც გერცოგ ფრიდრიხ მეორემ ტახტის მემკვიდრე პრინც მაქსის თანახმობით, უარი განაცხადა თავის და შთამომავლობის მხრით სახელმწიფოს მართვის უფლებაზე.

**გერმანია და რუსეთი.**

ბერლინში რუსეთის ტელეგრაფის ბიუროს 13 ნოემბრის განმარტების გამო რუსეთის საელჩოს წასვლის შესახებ, ოფიციალურათ იუწყებიან, რომ რუსეთის განცხადება, თითქოს შიკრიკს არ ჰქონია პროკლამაციები და ეს მხოლოდ პროვაკაციაა, დამტკიცებულ ფაქტის გამო, ყოველ კრიტიკას მოკლებულია. თვით რუსეთის ელჩმა იოფემ, როცა დ-რ სოლფმა წარუდგინა მას ფაქტები, ვეღარ უარყო გერმანიაში პროკლამაციების შემოტანის ფაქტი. იოფემ, ისე როგორ რუსეთის მთავრობამ, არა ერთხელ განაცხადა, რომ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობის მეორე მუხლი, რომელიც უკრძალავს მათ გერმანიაში პროპაგანდის გაწევას, მის მიერ ყოველთვის დაცული იყო. ამ რამოდენიმე დღის წინათ კი რადეკმა ტელეგრაფის საშვალებით შემდეგი სიტყვებით მიმართა გერმანიის ხალხს: „როგორც იცით, ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობის მეორე მუხლი არ გვიკრძალავდა ჩვენ რევოლიუციონურ პროპაგანდის გაწევას გერმანელებს შორის“.

მიუხედავათ იმისა, რომ იოფეს გამომგზავრება დაჩქარებით მოხდა, რუსეთის იმავე ტელეგრაფის ბიუროს ცნობით, იოფეს, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, სათანადო პატივი სცეს, რუსეთში კი ჩვენი გენერალური საელჩო დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს, საელჩოს არქივს და ბაგაჟს კონფისკაცია უყვეს და გაჩხრიკეს.

**გერმანიის პროტესტი**

დროებითი ზავის ხელშეკრულობაში აღნიშნული იყო, რომ თუ გერმანიის ჯარი დანიშნულ ვადაზე არ დასცლიდა საფრანგეთის და ბელგიის ადგილებს, ტყვეთ ჩაითვლებოდა მე-11 მუხლის თანახმად. იმ დაჭრილებზე და ავათმყოფებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ მოგზაურობა, გერმანიის სანიტარულმა რაზმმა უნდა იზრუნოს. ჯარი, რომელსაც შეუძლია იარაღის ტარება და უკან დარჩება, სამხედრო ტყვეებათ ჩაითვლება. ავათმყოფნი და დაჭრილნი, რომლებსაც არ შეუძლიათ მოგზაურობა, ტყვეთ არ უნდა იქნეს წაყვანილი. საფრანგეთი ამ ჟამათ მოითხოვს, რომ ყველა დაჭრილი და ავათმყოფი, რომელიც უკან დარჩა, ჩაითვალოს სამხედრო ტყვეთ. ეს მოთხოვნილება ეწინააღმდეგება არა მარტო დროებითი ზავის პირობებს, არამედ ყველა იმ პირობას ამ საკითხზე, რომელიც ომის დროსაც იყო. საფრანგეთის მოთხოვნილება მეტათ მკაცრია და ყოველგვარ ადამიანობას მოკლებული. მთელი გერმანია პროტესტს და გულისწყრომას აცხადებს ამის გამო. გერმანიის ხალხი მიმართავს ნეიტრალურ სახელმწიფოთ და მთელი კაცობრიობის სინდისს.

# ნავთის საკითხი

**ქალ. გამგეობის მიერ ნავთის მიღება**

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ 26 ნოემბერს მიიღო 4 ვაგონი ასანთი ნავთი, რომელიც ამ დღეებში გადაეცემა ტერ-აბრამოვის საწყობში, სახლების კომიტეტების შორის გასანაწილებლად. ნავთი სასურსათო ბარათებით მიეცემა სამ-სამი გირვანქა თითო სულზე გირვანქა ოთხ აბაზად.

**ნავთის გადაზიდვა და სარგებლობა**

ქალაქის გამგეობამ მიიღო მ. ი. რადლისის მიერ წარმოდგენილი პირობები ნავთის გაყიდვის შესახებ. ბ ნ რადლისს საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის მიერ ნება აქვს აღებული საქართველოს ტერიტორიაზე 50000 ფუთი ნავთის გადაზიდვისა იმ პირობით, რომ 30% ამ ტვირთისა გასცეს საქართველო საზოგადოების სასარგებლოდ. ამის ასასრულებლად ტფილისს გადაეცემა 1%. ბენზინი 6%, ასანთი ნავთი 2% მანქანებისთვის წასასმელი ნავთი, 1% საცილინდრო ზეთი და 20% სათბობი ნავთი. ეს პროდუქტი ტფილისში გაიყიდება იმ ფასად, როგორც ბაქოში ნიხრით არის დაწესებული, მხოლოდ მას მოემატება საბაჟო, გადმოსატანი და სხვა ზედ დადებული ხარჯები.

**ნავთის თავისუფალი ვაჭრობა**

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ დროებით გამოაცხადა ტფილისში ასანთებ ნავთის თავისუფალი ვაჭრობა მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ ეს ნავთი გირვანქა 3 მანეთზე მეტად არ გაჰყიდონ.

# ქართული ლატარია

26 ნოემბერს, შესდგა ლატარიის ქალთა გამგე კომიტეტის კრება, რომელზედაც დადგენილ იქმნა 8 დეკემბერს მთელ საქართველოში მოეწყოს ლატარიის დღე. ამ დღისთვის უნდა გაგზავნილ იყოს საჭირო კაცები ორგანიზაციის მოსაწყობად.

— მთავარმა კომიტეტმა დაუგზავნა ყველა აგენტებს მოწერილობა, რომ 15 დეკემბრისთვის გაასწორონ ანგარიშები მთავარ კომიტეტთან.

— 25 ნოემბერს ქალთა კომიტეტის სხდომაზე დადგენილ იქმნა მთელ საქართველოში მოეწყოს ლატარიის დღე 8 დეკემბერს და გაგზავნილ იქმნეს. საჭირო პირნი ორგანიზაციის მოსაწყობათ·

— მთავარ გამგეობამ დაუგზავნა მოწერილობა ყველა აგენტებს, რომ 15 დეკემბრისთვის გაასწორონ ანგარიშები.

# ქალაქის გამგეობაში.

**შაქრის დარიგება.**

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ სასურსათო დუქნებსა და ზოგ კოოპერატივებს დაურიგა შაქარი და შაქრის ფხვნილი მოქალაქეთა ნოემბრის და დეკემბრის ულუფის გასაცემათ. შაქრის გაყიდვა დაიწყება ორშაბათს, 2 დეკემბრიდან.

**სასურსათო დუქნები.**

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ ტფილისის კოოპერატივების კავშირთან ხელშეკრულობას ხელი მოაწერა ქალაქის 18 სასურსათო დუქნების კოოპერატივების კავშირისადმი გადაცემის შესახებ. 1 დეკემბრიდან ეს დუქნები ამ კავშირის გამგებლობაში გადადის.

**გადასახადი ეტლზე და ცხენზე.**

ქალაქის საბჭომ დაამტკიცა ქალაქის გამგეობის მოხსენება კერძო პირთა საკუთარ ეტლებზე და მათ ცხენებზე ქალაქის სასარგებლოთ გადასახადის დაწესების შესახებ. ეტლზე დადებულია 250 მან. გადასახადი მხოლოდ თითო ცხენზე 50 მან.

**ნიხრის გადიდება.**

სანოვაგის ანალიზის ნიხრს ქალაქის მიკროსკოპიულ სადგურებში ქალაქის საბჭოს ნება დართვით მოემატა.

**სამსახურიდან განთავისუფლება.**

ქალაქის გამგეობის სასანიტარო ტეხნიკურ განყოფილების გამგემ ინჟინერ ი. დ. ლისიციანმა ქალაქის მოურავს თხოვნა მიართვა სამსახურიდან განთავისუფლების და 31 წლის სამსახურის გამო პენსიის დანიშვნის შესახებ.

**ნიხრი ელექტრონზე.**

ქალაქის გამგეობამ ელექტრონზე ახალი ნიხრი დაადგინა. ქუჩების გასანათებათ დანიშნა 40 კაპ. კილოატი საათში და დანარჩენი ელექტრონის მხმარებლები ორ კატეგორიაზე გაანაწილა. პირველმა კატეგორიამ, რომელშიაც არიან მოქცეული მთავრობის და საზოგადოების დაწესებულებანი და კერძო პირთა ბინები უნდა გადაიხადონ 3 მან. კილოატი საათში და მეორე კატეგორიამ, რომელსაც შეადგენენ სავაჭრო სამრეწველო და გასართობი დაწესებულებანი, 4 მან. უნდა გადიხადოს. ცალკე ელექტრონის ლამპების სარგებლობაზე შემდეგი ნიხრია დანიშნული პირველ კატეგორიისათვის 100 სანთლის სინათლიან ლამპებზე 54 მან. თვეში, 50 სანთლისა —27 მან. 32 სანთლისა—17 მან. 30 კაპ. და 25 სანთლისა—13 მან. 40 კაპ.; მეორე კატეგორიისთვის—100 სანთლის სინათლიან ლამპებზე 71 მან. 70 კაპ. 50 სინათლისა—35 მან. 85 კაპ. 32 ლამპისა—22 მან. 90 კაპ. და 25 სანთლის სინათლის ლამპებზე—17 მან. 90 კაპ.

**ჯამაგირების მომატება.**

ქალაქის გამგეობამ შეიწყნარა მიკროსკოპისტ ქალების შუამდგომლობა მათთვის ჯამაგირების მომატების შესახებ ამიერიდან მათ ენიშნებათ 400 მან. თვეში.

**საღამოს გამართვის ნებართვა.**

ქალაქის გამგეობამ ნება დართო რუსთა ერთვნულ საბჭოს 1 დეკემბერს თეატრ მინიატიურში გამართოს საღამო საბჭოს მოსამსახურეთა კავშირის სასარგებლოთ.

ებრაელთა 1 გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების წრის საბჭოს ქალაქის გამგეობამ ნება დართო 30 ნოემბერს ამავე გიმნაზიაში ლატარია გამართოს.

**ეკონომიური განყოფილება.**

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის უმთავრეს გამგეობამ დააწესა საფინანსო ეკონომიური განყოფილება.

**შაქრის ქურდობა.**

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ ქალაქის სასურსათო დუქნებში № 1 (ვერაზე) და № 8 (მთაწმინდაში) 11 ტომრის შაქრის ქურდობა აღმოაჩინა, რის გამოც ამ დუქნების გამგენი და მოსამსახურენი დროებით სამსახურიდან გადააყენა და დუქნები დროებით დახურა.

**პენსიის შესახებ თხოვნა.**

ქალაქის სკოლებში საღვთო სჯულის მასწავლებელმა დეკანოზმა ჳ. ასათიანმა ქალაქის გამგეობას მიმართა თხოვნით, 20 წლის სამსახურის გამო მას პენსია დაუნიშნოს.

# ქრონიკა

◯ საქართველოს პარლამენტის მიერ დაარსებულ დამფუძნებელ კრების არჩევნების მოსაწყობათ ცენტრალურ კომისიას სამშაბათს, 26 ნოემბერი პირველი სხდომა ჰქონდა. კომისიამ ამოირჩია პრეზიდიუმი თავმჯდომარეთ არჩეულია ალ. ლომთათიძე, თავმჯდომარის ამხანაგებათ—ი. გობეჩია და ჯაჯანაშვილი, მდივნათ—სოლოღაშვილი და ხაზინადრათ იაზონ ლორთქიფანიძე.

◯ ქალაქთა კავშირის უმთავრეს კომიტეტის აღმასრულებელი ბიუროს დადგენილებით ექიმი კ. ა. კიკალეიშვილი მიიწვიეს მედიკურ-სანიტრული განყოფილების გამგეთ და ქიმიკოსი ბუდინოვი ქიმიკურ წარმოების კონსულტატათ.

◯ ცენტრალურ მომრიგებელ კომერისგანსაკუთრებულ საკრებულოში ბ. მ. ი. რუსიას მაგივრათ აირჩიეს კომიტეტის მდივანი მადლისონი.

◯ აღმასრულებელ ბიუროს დადგენილებით მუნიციპალური ჟურნალი ისევ ძველი სახელით გამოვა: „კავკაზსკი გოროდ.“

◯ 28 ნოემბერს სახალხო სახლში ქართულ საზ. წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „სოფლის გმირები“ ადგილების ფასები სახალხოა, დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.

◯ მილიციის უფროსის განკარგულებით დაპატიმრებულ მქმნენ 1 კვირით ვ. ს. ვოსტონჯიანცი და გ. გ. შარუხიანცი შუაღამის იქით გამოსვლისთვის.

◯ კვირას 1—ლ. დეკემბერს, შესდგება მეორეთ ექიმის თანაშემწეთა კავშირის კრება განსახილველია: 1, საზოგადოების გაერთვნება 2, მომავალი დელეგაციათა ყრილობა 3) ჟუ-

რნალი „ექიმის თანაშემწე“ 4, მიმდინარე საკითხები და სხვა. ამ კრებას რამდენი წევრიც დაესწრება მაინც კანონიერათ ჩაითვლება.

◯ „ალიონელთა“ კრება. დღეს 28 ნოემბერს საღამოს 5 საათზე, სასახლის ქუჩა № 5 „ალიონის“ რედაქციაში დანიშნული „ალიონელთა“ არაჩვეულებრივი კრება. გასარჩევია საყურადღებო საკითხები, რისთვისაც ჯგუფი სთხოვს წევრებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

◯ რედაქციამ მიიღო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ჟურნალში მოთავსებულია მრავალი სურათები, სუფთათაა გამოცემული, ღირს 2 მანეთი.

◯ გამოვიდა და იყიდება წიგნი „პირველი ნაბიჯის ბიბლიოთეკის“ № 1 წიგნი ეძღვნება დუშეთის აჯანყებაში დაღუპულთა ხსოვნას, ღირს 2 მანეთი.

◯ 29 ნოემბერს ქართულ კლუბში დამსახურებულ არტისტების ელ. ჩერქეზიშვილის და ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება „არშინ მალან“-ი.

◯ კვირას, 1 დეკემბერს კონსერვატორიაში ქარ. სამუსიკო საზოგადოება მართავს მეორე კამერულ დილას შეგირდებისათვის უფასოთ.

◯ დღეს, 28 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია ვ. ბაქრაძისა „სახელმწიფოს უფლება“ ინჟ. ალშიბაია „ელექტრობა და ორთქლის ძალა.“

◯ 27 ნოემბერს გრიბოედოვის ქუჩაზე 4 შეიარაღებული პირი დაუხვდა ნაფიც ვექილ კუკულავას მილიციინერთა სახელით ვითომც და იარაღის ასაყრელათ. გაჩხრეკის დროს წაართვეს ოქროს საათი და საფულე 1000 მან. ფულათ.

◯ გუმბრიდან ჩამოსულთა სიტყვით 22 ნოემბერს ოსმალებმა დაიწყეს გუმბრის დაცლა. 24 ნოემბერს ქალაქში ოსმალთა ჯარი აღარ ყოფილა. გუმბრაში ოსმალთა მმართველობა დარჩა.

## მადლობის გამოცხადება.

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით საქართველოს სატყეო კურსების მსმენელთა სახელით გადაუხადოთ ულრმესი მადლობა ბორჯომის ნაციონალურ მამულის გამგეს ინჟინერ ხუნდაძეს, ტყის გამგეს ბ. პახარს და კანტორის მოხელეს გავას, რადგან მათ, ჩვენი პრაქტიკული მეცადინობის დროს ბორჯომში, აღმოგვიჩინეს, რამდენათაც ეს შესაძლებელი იყო, ყოველგვარი დახმარება ბინის და სურსათ-სანოვაგის შეძენა-მოპოვებაში.

კერძოთ კი-პახარს თავის მდიდარი თეორეტიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების გაზიარებისთვის სატყეო ტეხნოლოგიაში და საქმეში.

საქართველოს სატყეო კურსების მსმენელთა მინდობილებით: ჩინჩალაძე, ვირუბოვი და ბოკერია.

## განცხადებები

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სიმონ გიორგის ძე ჯაფარიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჯაფარიძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. I ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
1055 3—3

პოდპორუჩიკი სკორიკოვი აცხადებს, რომ მას ჯიბიდან ამოაცალეს საფულე, რომელშიაც ფულთან ერთად საბუთებიც იყო: კვიტანცია საკუთარი ცხენის რეკვიზიციის შესახებ № 37 და სალიკვიდაციო განყოფილების უფროსის მოწერილობა. კვიტანცია გაუქმებულად ითვლება.
1089 3—2

იული ფელიქსის ძე სოკოლოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი № 2752, მიღებული უმცროს ნოტარიუს მიტკევიჩისაგან 1913 წ. სექტემბრის 13 გორის მაზრაში 400 ოთხკ. საჟ. მიწის შეძენის შესახებ.
1090 3—2

ალექსი დიმიტრის ძე კაზლოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 1749 რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.
1086 3—3

საზოგადოების „მეგუ“-ს გამგეობა აცხადებს, რომ დაიკარგა ორი კვიტანცია მიღებული ვოლგო-კამის ბანკიდან $4^{1}/_{2}\%$ ობლიგაციების შეერთებული რკინის გზის სესხისა 1917 წ. დადებული ფასით 30000 მ. კვიტ. № 213—27000 მ. კვიტ. № 314—3000 მ. 1088 3—2

ოზურგეთის მაზრის კომისარი აცხადებს, რომ შემოქმედის საზოგადოების რწმუნებულმა ივანე თომას ძე სიმონიშვილმა დაჰკარგა კვიტანციები, მიცემული ბიქტორ ლონტისაგან სიმინდის საფასურში 26515 მანეთისა და მეორე 500 მანეთისა. მნახველს სთხოვენ წარმოადგინოს კომისარიატში. 635 3—3

მიხეილ ალექსანდრეს ძე ანდრეევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა მიცემული ქუთაისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან 1918 წ. 8 ივლისს. 1082 3—3

გიორგი ივანეს-ძე სარქისოვი აცხადებს, რომ დროებითი მოწმობა, მიღებული ტფილისის ვაჭართა ბანკიდან № 626, 14 ნოემბერს სხვა ნივთებთან ერთად წაილეს მძარცველებმა, რის გამოც გაუქმებულად ითვლება. 1056-3-2.

ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა იაკობ არონის ძე ფიჩხაძის მიერ მიცემული ისხაკა არონის ძე ფიჩხაძეზე, რომელიც არის დამტკიცებული ქუთაისის ნოტარიუსის კოკოჩევის მიერ ამა წლის 9 მარტის რეესტრის 371 ნომრით, 11 ამა ნოემბრის დადგენილებით გაუქმებულია.
997 3—3

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს ევდოკია პეტრეს ასულის მიკუსეკის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამ. კან. I ნ. მე-X ტ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
1045 1—1.

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ირაკლი არსენის ძე დოლიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება დოლიძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-X ტ. 1 ნ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
1041 1—1.

ტფილისის სასამართლო პალატა სას. წესდ. მე-282 მუხ. თანახმად აცხადებს, რომ აღნიშნული პალატის ნაფიც ვექილთა გადაწყვეტილებით, ნაფიც ვექილთა რიცხვში მიღებულია ბესარიონ იოსებისძე ლომინაძე, რომელიც ტფილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტების საერთო კრების დადგენილების თანახმად, 1918 წ. ოქტომბრის 26-დან შეტანილია ნაფიც ვექილთა სიაში და აგრეთვე დაფიცებულია. 904 1—1.

გუდაუთის მომრიგებელი უბნის გამგე სამ. საქ. წარმ. წესდების I ნ. მე-XVI ტ. მე-1401 მუხ. ძალით იწვევს გარდაცვალებულ სიმონ ისაიას ძე საბაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება საბაშვილის ქონებაზე სამ. კან. კრ. მე-1241 მუხ. დადგენილ ვადაში. 907 1—1.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 22 დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუს ზატვორნიცკისთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე ნესტორის ძე მარკინმა 10000 მან. მიჰყიდა ექვთიმე, იგივე ევგენი, გვათიას ძე გვაძაბიას მიწის ნაჭერი ქ. სოხუმში, მესამე პოდგორნი ქუჩაზე, ზომით 153 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 400 მან. სადერბო 50 მან.
908 1—1.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის საადგილმამულო ბანკის 1918 წ. ივლისის 10 № 1582 მოწერილობის თანახმად, ყადაღა, რომელიც დადებული იყო ტიგრან გრიგოლის ძე სარქისიანის უძრავ ქონებაზე 1918 წ. ყადაღათა კრებ. № 15 გაუქმებულად ითვლება. 840 1-1

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1918 წ. ოქტომბრის 24 კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათ კავშირთა ნუსხაში შეტანილია სტუდენტთა მომხმარებელი და მწარმოებელი საზოგადოება. 973 1—1.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 23 დამტკიცებულია, 1918 წ. სექტემბრის 3 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსი ხუხულობის ძე გოგინავამ 350 მან. მიჰყიდა კონსტანტინე გიგოს ძე ფირცხალავას მიწის ნაჭერი მე-51 უბ. ზომით: აღმ. 15 საჟ. 2 არშ. დასავ. 15 საჟ. 2 არშ. ჩრდილ.—15 ს. 1 არშ. სამხრ. 15 საჟ. 1 არშ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 34 მან. მთავარი ამონაწერი 4 მ. 50 კაპ. ღირებულების სადერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. ოქტომბ. 23. 829 1—1

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1918 წ. ოქტომბრის 3 კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათ კავშირთა ნუსხაში შეტანილია უკრაინა-კავკასიის სავაჭრო სამრეწველო კოოპერატიული ამხანაგობა. 974 1—1.

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ლუკა თეოფილეს ძე ვიდლიანსკის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ვიდლიანსკის ქონებაზე X ტ. I ნ. მე-1241 მუხლით აღნიშნულ ვადაში.
1048 1—1.

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე აცხადებს, რომ ნესტორ სერაპიონის ძე და პელაგია იოსების ასულის კვიკვიძების უძრავ ქონებაზე დადებულია ყადაღა, იმის გამო, რომ ისინი არ უხდიან ვალს ნოე გლახუნას ძე სიხარულიძეს 2000 მან. 1047 1—1.

კავკასიის უწმინდესი და უმართებულესი სინოდის კანტორა აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 20 იქ შეიტანა თხოვნა კარლ ივანეს ძე კარნოვსკიმ, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში მეათე უბ. ანდრეევის ქ. № 69, ბინა 7, მის ცოლთან ელენე ივანეს ასულის კარნოვსკაიასთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარდაწერილი არიან ტფილისში წმ. ნინოს ეკლესიაში 1906 წ. ნოემბრის 8. მთხოვნელის კარნოვსკის განცხადებით ელენე კარნოვსკაია არა სჩანს 1913 წ. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ელენე კარნოვსკაია, ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს სინოდალურ კანტორას, ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭვდიდან.
1087 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ სოხუმის მომრიგებელ მოსამართლის მიერ 1918 წ. მარტის 12 ს № 408 მოწერილობის თანახმად, დადებულია ყადაღა ნადეჟდა ნიკოლოზის ასულის ცამბაევას უძრავ ქონებაზე სოხუმის ოლქში, ა. წყაროში. მამული შეიცავს $^{1}/_{2}$ მიწის ნაჭრის უფლებას № 77. საერთო ზომით 40 დეს. ყადაღა დადებულია იმის გამო, რომ ნადეჟდა ცამბაევა არ უხდის კონსტანტინე ცამბაევს 600 მან, ვალის %. სოხუმის ყადაღათა კრებული 1918 წ. № 9. 834 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ სოხუმის მომრიგებელ მოსამართლის 1918 წ. აგვისტოს 13 № 1212 განკარგულების თანახმად, ყადაღა, რომელიც დადებულია მოსე იოსების ძე გაგუას უძრავ ქონებაზე სოხუმის 1909 წ. ყადაღ. კრებ. № 57—გაუქმებულია. 842 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის მომრიგებელ მოსამართლის 1919 წ. აგვისტოს 13-ს № 1213 მოწერილობის თანახმად, ყადაღა, რომელიც დადებული იყო მოსე იოსების ძე გაგუას უძრავ ქონებაზე 1913 წ. ყად. კრებ. № 253 გაუქმებულად ითვლება. 841 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე იწვევს იმ პირთ, რომელთაც რაიმე პრეტენზია აქვთ ქ. ახალციხის ყოფილ ნოტარიუს პეტრე სარაჯიშვილის საწინდარზე, განაცხადონ ექვსი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. სარაჯიშვილი დანიშნულია ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად.
961 1—1.

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე 1918 წ. ოქტომ. 28 დადგენილების თანახმად, სისხლ. სამ. საქ. წარმ. მე-846 მუხ. ძალით ეძებს ქ. სოხუმის მცხოვრებს, ოსმალთა ქვეშევრდომს ხალამ ხაჯი ახმეტ ოღლის, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. წესდ. მე-169 მუხლის ძალით. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ხალიმ ხაჯი ახმეტ ოღლი, ვალდებულია განუცხადოს სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეს. 903 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბ. 18 მის მიერ დამტკიტებულია, სოხუმას ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნატალია პეტრეს ასულმა გარდენინამ 20000 მან. მიჰყიდა ნიკოლოზ გრიგოლის ძე რუკინს მიწის ნაჭერი ქ. სოხუმში, რომელიც შეადგენს ორი სასანიტარო მიწის ნაჭრის ნაწილს № № 69 და 71, ზომით 485 ოთხკ. საჟ. 910 1—1.

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1918 წ. ოქტომბრის 31 იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მიზნად მოგების გალება არ აქვთ დასახული, შეტანილია ქ. ტფილისის მებაღეთა საზოგადოება „ძმობა“.
975 1—1.

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, 1918 წ. ოქტომბრის 31 კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათ კავშირებთა ნუსხაში შეტანილია დუშეთის მაზრის კოოპერატივთა კავშირი „არაგვის ხეობა“. 971 1—1.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 17 დამტკიცებულია, გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნესტორ პავლეს ძე პაჭკორიამ 11,000 მან. მიჰყიდა ემანუილ პანაიოტის ძე ხახალამპიდის მიწის ნაჭერი ქ. გუდაუთში, № 4, ზომით 250 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 440 მან. სადერბო 55 მან.
906. 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტ. 19 მის მიერ დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი გირავნობის მოწმობა ნიკოლოზ გრიგოლის ძე რუკინის მამულზე, რომელიც მდებარეობს ქ. სოხუმში და შეიცავს მიწის ნაჭერს, ნაწილს ორი სასანიტრო მიწისა №№ 69 და 71, ზომით 485 ოთხკ: საჟ. მამული დაგირავებული აქვს ნატალია პეტრეს ასულს გარდენინას 10,000 მ., სამი წლის ვადით გირავნობის მოწმობის დამტკიცებიდან, 8%. სადერბო გადასახადათ მიღებულია 65 მან.
909. 1—1.

კავკასიის სინოდის კონტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 13 იქ შეიტანა თხოვნა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ლევიატოვმა მის ცოლთან ევგენია იაკობის ასულ ლევიატოვასთან განქორწინების შესახებ. დასახელებული ლევიატოვა მიწვეულია სინოდის კონტორის საკრებულოში დასარიგებლად, სასამართლოს წინაშე საპასუხოთ და მოწმების დაკითხვის დროს დასასწრებლად, ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. თუ ლევიატოვა აღნიშნულ ვადაში არ გამოცხადდა, საქმის წარმოება გაგრძელდება.
1070. 1—1

## კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა

თანახმათ წესდების § 39-სა იწვევს ბ. ბ. აქციონერებს მორიგ საზოგადო კრებაზე დასასწრებლათ, შემდეგი საგნების განსახილველად: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების შესახებ და ამ მოხსენებიდან გამომდინარე საკითხების განხილვა-გადაწყვეტა. 2) 1919 წლისათვის შემოსავლის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3) ნებართვა კერძო ბანკებში სესხის აღებისა 500.000 მანეთამდე. 4) სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. 5) ერთი გამგეობის წევრის არჩევა განსვენებული რ. ნ. ყაზბეგის ნაცვლად.
დღე საზოგადო კრებისა ცალკე იქნება გამოცხადებული. 1053. 3—1

## საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ კომერციული განყოფილების შენობაში, (ტატიანის ქუჩა № 11) პარასკევს 29 ნოემბერს 1918 წ. დილის 11 საათზედ გაიყიდება საჯაროთ არქივის ქაღალდები, წიგნები, ბლანკები და სხვ. შესახვევი ქაღალდები, წონით 300 ფუთამდე გაყოფილი ხუთ ნაწილად. მსურველთ შეუძლიანთ შემოიტანონ წერილობითი განცხადება დაბეჭდილი კონვერტით ფას-დადებით. ქაღალდების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე გარდა უქმისა, კომერციული განყოფილების შენობაში 12—2 საათამდი. 1049 1—1

## ცენტრალური სასურსათო საბჭო

(ყოფილი სასურსათო სამინისტრო)

მადათოვის ქ. № 3, ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვალი მარილი დაწესებულ ფასებში. მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ფოთში. 952 12—11

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.